პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

გამარჯვება

საქ. კპ ახმეტის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

გამარჯვება — орган Ахметского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

კპ ახმეტის რაიკომის ბიბლიოთეკა

18 მაისი 1956 წ.

№ 34 (690) ფასი 15 კაპ.

გამოცემის მე-10 წ.

ვ. ზართოდ იქნას გამოყენებული კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება, როგორც კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმული. გაგრძელდეს მუშაობა კოლმეურნეობების განსამტკიცებლად ხელმძღვანელი კადრებით, გაუმჯობესდეს მასობრივი საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მაღალხარისხოვნად და მოკლე ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უდიდეს პოლიტიკურ ვიქტორიაში ჩაიარა. იგი იყო ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის სიმტკიცის გამომხატველი.

ჩვენი რაიონის მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მთელი ძალით აჩაღებენ შემოქმედებითს შრომას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საკოლმეურნეო მინდვრები გამოკაცხლდა. ფართო ხომალდებში ტრაქტორები აგუგუნდნენ. დაიწყო საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი დღეები, ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი სოფლის მეურნეობაში.

რაიონის კოლმეურნეობებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს ოვითვეანი კულტურების თესვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ზემო ხოდაშნის ლენინის და ოქტომბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, რომელთაც თესვა დაამთავრეს და ახლა ითესებიან სიმინდისა და ადრეული კულტურების თესლებით.

საგაზაფხულო თესვაში კარგი მაჩვენებლები აქვს ჭისტაფლის ორჯონიკიძისა და ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობაში ასეთი მდგომარეობა არ არის. შაბვეტილის დიმიტროვის, მაღრაანის მალენკოვის, ფშაველანის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში თესვისათვის არ ჩქარობენ. კიდევ მეტი: მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ქერის, ბოსტნეულისა და მზესუმზირის თესლების საჭირო მარაგი.

მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანეს პირობას ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება წარმოადგენს. მაგრამ მიუხედავად საკმაოდ დიდი დროისა, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნაკელი დღემდე გაუტანელი აქვთ. ამაში ნაწილობრივ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიც არიან დამნაშავენი.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის მნიშვნელოვანია ფართოდ გამოვიყენოთ თესვის ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიცაა კვადრატულ-ბუდობრივი, კვადრატული, ჯვარედინად და ვიწრო მწკრივად თესვა. შარშან ამ დარგში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები იყო. მაგალითად, ალვნის მტს-მა ვერ შეასრულა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის გეგმა. წელს ეს არ უნდა განმეორდეს. ახმეტისა და ალვნის მტს-ებმა, რომელნიც შეიარაღებული არიან მძლავრი საბჭოთა ტექნიკით, ფართოდ უნდა დანერგონ წარმოებაში ყველაზე მოწინავე, პროგრესული მეთოდები, უნდა უზრუნველყონ სიმინდისა და სხვა კულტურების თესვის გეგმის შესრულება აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად.

დრო აღარ იცდის, საჭიროა დავარაზმოთ მთელი ძალები საგაზაფხულო თესვის გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის. ყოველი წუთი, ყოველი საათი ახლა ძვირფასია. კოლმეურნეობების გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ სრულდებოდეს საწარმოო დავალებანი ბრიგადებში, ყოველ გუთნეულზე.

კოლმეურნეობების გამგეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის მცნება ამჟამად ის არის, რომ აამაღლონ საგაზაფხულო თესვის ტემპი, გამოიყენონ ყველა რეზერვები თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრების უზრუნველსაყოფად, მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ საკოლმეურნეო მინდვრებს, სადაც წყდება წლევანდელი წლის უხვი მოსავლის ბედი.

მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ ბოლესლავ ბერუტს

14 მარტს მოსკოვის მშრომელები უკანასკნელად გამოეთხოვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბოლესლავ ბერუტს.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქი გლოვობს. შენობებზე გამოკიდებულია **შავ კრეპ-შემოვლებული** წითელი ალმები. სამგლოვიაროდ მოსილია ფასადი კავშირების სახლისა, რომლის სვეტებიან დარბაზში ასვენია პოლონელი ხალხის დიდი შვილის ცხედარი. წინა დღეს ამ დარბაზში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწესთან ბოლესლავ ბერუტთან გამოსათხოვებლად მოვიდა დედაქალაქის 100 ათასზე მეტი მშრომელი.

სვეტებიან დარბაზში გაისმის შოპენის სამგლოვიარო მარშას მწუხარე მელოდია. დილის 10 საათზე ბოლესლავ ბერუტის კუბოსთან საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები: ხ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი ე. ა. ფურცევა, ა. გ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პისპელოვი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის დელეგაციის წევრები — ი. ბერმანი, ა. ზავადსკი, ფ. მაზური, ე. ოხაბი, ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ლევიკოვსკი, დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენელი მარშალი ჯუ დე.

შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა პოლონელ ამხანაგებთან ერთად ასწიეს ბოლესლავ ბერუტის ცხედარი, გამოასვენეს ქუჩაში და დაასვენეს სპეციალურ ავტობუსზე, რომელიც გაემართა ცენტრალური აეროდრომისაკენ.

მთელ გზაზე კავშირების სახლიდან ცენტრალურ აეროდრომამდე გორკის ქუჩისა და ლენინგრადის გზატკეცილის ორივე მხარეს, მიაცილებენ რა **სამგლოვიარო პროცესიას**, მწუხარე მდუმარებით დგანან მშრომელები.

სამგლოვიარო მიტინგი აეროდრომზე, მიძღვნილი ბოლესლავ ბერუტის ხსოვნისადმი გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ა. ფურცევამ.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით, მან დიდი სამძიმარი გამოუცხადა პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას და მოძმე პოლონელ ხალხს.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის მდივანმა ს. ორლოვმა, მოსკოვის დამხარისხებელი სადგურის დეპოს უფროსმა მემანქანე ვ. ბლაუენოვმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ა. ზავადსკიმ.

მიტინგი დამთავრდა. ორკესტრი ასრულებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს. კუბო გადმოასვენეს კვარცხლბეკიდან და გვირგვინებთან ერთად ფრთხილად დაასვენეს თვითმფრინავში.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია. ათასობით მოსკოველმა მოიხადა ქუდები

11 საათსა და 10 წუთზე თვითმფრინავი ავიდა ჰაერში და გეზი აიღო ვარშავისაკენ. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა აფართოებს ეკონომიურ კავშირს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებმა დაამუშავეს სამრეწველო ობიექტების მშენებლობის 30-ზე მეტი პროექტი საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

სურათზე: კომბინატის ინსტრუქტორი ფრანტიშეკ გალაშეკი ათვალიერებს ეგვიპტელი მუშის აბდ ელ ხაკმ ხაიკალის სამუშაოს.

ფოტო ბიცანასი (ჩეხოსლოვაკიის სატელეგრაფო სააგენტო).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. 1955 წლის დასასრულს ე. ი. პირველი ხუთწლიანი გეგმის სამ წელში, ქვეყანაში აშენდა და გადაეცა ექსპლოატაციაში 271 მსხვილი სამრეწველო ობიექტი. მიმდინარე წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყება და გაგრძელდება 500-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, მათ შორის პირველი ჩინეთში--საავტომობილო ქარხანა.

ქარხნის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება 1956 წელს. მთელმა რიგმა საამქროებმა უკვე გამოუშვეს პროდუქცია.

სურათზე: მასის საამქროში. ფოტო ჩი გუან-შანისა. (სინხუას სააგენტო).

ატომის სპეციალისტების მომზადება პოლონეთში

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტი აწყობს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგის სპეციალისტთა ფართო მომზადებას. ინსტიტუტთან შეიქმნა კურსები, რომელზეც მრეწველობის სხვადასხვა დარგის ინჟინრები და მეცნიერი მუშაკები იძენენ ცოდნას ატომგულის, ფიზიკისა და ქიმიის დარგში. აგრეთვე ეცნობიან რადიაქტიული იზოტოპების გამოყენებას. ამას წინათ ინსტიტუტთან დაიწყო მეცადინეობა ინჟინერთა დიდმა ჯგუფმა, რომლებიც სპეციალდებიან მრეწველობაში ატომის ენერგიის გამოყენების დარგში. ეს უკვე მეხუთე ჯგუფია, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს მოეწყო ინსტიტუტთან. ინსტიტუტს განზრახული აქვს უახლოეს ხანში მოაწყოს სპეციალური კურსები ქიმიკოსების, ბიოლოგებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებისათვის.

ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლების მომზადება გაიარეს საბჭოთა კავშირში. (საკდესი).

გ. ვ. მალენკოვი საბჭოთა ენერგეტიკოსების ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ინგლისში

ბრიტანეთის ელექტრობის მრეწველობის მიწვევით 14 მარტს მოსკოვიდან ლონდონში გაემგზავრა საბჭოთა ენერგეტიკოსების ჯგუფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ელექტროსადგურების მინისტრის გ. ვ. მალენკოვის მეთაურობით. საბჭოთა ენერგეტიკოსები ინგლისში გაეცნობიან ელექტროსადგურების, ელექტროტექნიკური საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობას.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირში ინგლისის საელჩოს მრჩეველმა დესპანმა ბ-ნმა ს. კ. პაროტმა და ელექტროსადგურების მინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს მოწვევით ა. წ. აპრილში მოსკოვში საპასუხო ვიზიტით ჩამოვა ინგლისელ ენერგეტიკოსთა დელეგაცია.

კარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში

მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ზ. ტერტერაშვილი) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 13 წევრსა და 1 კანდიდატს აერთიანებს. პარტიის ყველა წევრს მიცემული აქვს დავალება. ისინი მუშაობენ ისეთ გადამწყვეტ უბნებზე, სადაც წყდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და მოსავლის გადიდების ბედი.

პარტიული ორგანიზაცია ხშირად მსჯელობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა მეცხოველეობის ფერმების კეთილმოწყობა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების გადიდება, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება, მწყემსების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება.

იმის გამო, რომ მეღორეობის ფერმაში ხშირი იყო მწყემსების დენადობა და ადგილი ჰქონდა ღორების დაცემას, პარტიულმა ორგანიზაციამ ძალი[illegible] გაატარა ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მეღორეობის ფერმის განმტკიცების მიზნით აქ სამუშაოდ გაიგზავნა კომუნისტი შ. ფეიქრიშვილი. ფეიქრიშვილმა ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ფერმა დაკომპლექტდა კადრებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ღორების მოვლა-პატრონობის, პროდუქტიულობისა და სულადობის ზრდის საქმეს.

ფერმის ახალმა გამგემ შ. ფეიქრიშვილმა პარტიულ ორგანიზაციას და კოლმეურნეობის გამგეობას პირობა მისცა, რომ ადგილობრივი ჯიშის თვითეულ დედაღორზე გამოზრდიდა 12 გოჭს, ხოლო ჯიშიანი დედაღორებიდან—14 გოჭს. ამ დაპირებას იგი საქმით ამართლებს. ამჟამად ჯიშიანი ღორების თვითეული დედაღორიდან მიღებული და შენარჩუნებულია 10 გოჭი, ხოლო ადგილობრივი ჯიშის თვითეული დედაღორიდან 7 გოჭი.

მეძროხეობის ფერმის გამგედ 1954 წლიდან კომუნისტი ხ. შათირიშვილი მუშაობს. იგი ერთ-ერთი მოწინავე მუშაკია. მიმდინარე სამეურნეო წელს მან ვალდებულება იკისრა თვითეული საფურაჟე ძროხადან 900 ლიტრი რძე მიიღოს და შეინარჩუნოს მიღებული ნამატი.

ფერმაში გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად იმატა ძროხების წველადობამ. ხუთი თვის განმავლობაში თვითეულ საფურაჟე ძროხიდან უკვე მიღებულია 216,6 ლიტრი რძე.

ამხ. ხ. შათირიშვილს შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავდა ამავე სოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე ამხ. ლაიბური. შეჯიბრებაში შათირიშვილმა გაიმარჯვა. შეჯიბრება წელსაც გრძელდება.

ათ წელზე მეტია, რაც კომუნისტი დ. ოტიაშვილი მევენახეობის ბრიგადირად მუშაობს. წლების მანძილზე მისი ბრიგადა ყურძნის უხვ მოსავალს ღებულობს. მასზე გაპი[illegible] ჰექტარი ვენახიდან ყოველწლიურად საგეგმო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. გასულ წელს მიუხედავად იმისა, რომ ვენახები დაისეტყვა, გეგმას მაინც გადააჭარბა. ამჟამად ოტიაშვილი იბრძვის იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერის ნაცვლად 100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღოს.

კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება მემინდვრე კომუნისტების მუშაობა. მაგალითად, იმ რგოლმა, რომელსაც კომუნისტი ი. ჭიჭიაშვილი ხელმძღვანელობდა 8,5 ჰექტარის თვითეული ჰექტრიდან 37 ცენტნერი სიმინდი მიიღო მარცვლად, გეგმა კი 22 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ახლა ი. ჭიჭიაშვილი დაწინაურებულია მემინდვრეობის ბრიგადირად. ბრიგადამ წელს 36 ჰექტარზე უნდა დათესოს სიმინდი. ჭიჭიაშვილი და მისი ბრიგადის წევრები იბრძვიან თვითეული ჰექტრიდან 40 ცენტნერი სიმინდი მიიღონ ნაცვლად 21,1 ცენტნერისა.

შრომის კარგ ნიმუშებს იძლევიან კომუნისტი ძმები ზ. და ს. ბერუაშვილები, რომლებიც მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებად მუშაობენ.

ს. ბერუაშვილი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს მემინდვრეობის ბრიგადას, მაგრამ არც ერთხელ არ ყოფილა იგი ჩამორჩენილი. ბრიგადირი ძმები დღესაც სასახელოდ ხელმძღვანელობენ თავიანთ ბრიგადებს და შეუპოვრად იბრძვიან ახალ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციის წევრებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო წარმოებაში. ისინი შეთანხმებულად და თავდადებით მუშაობენ საკოლმეურნეო საქმის ყველა უბანზე. კრიტიკისადმი შეურიგებლობამ, საერთო საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და თავდადებულმა შრომამ პარტიულ ორგანიზაციას გამოუზარდა ისეთი კადრები, რომელთაც გასულ წელს სამართლიანად დაიმსახურეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასული წლის კანდიდატებმა კომუნისტებმა შ. ტერტერაშვილმა, დ. ოტიაშვილმა, ს. ბერუაშვილმა და სხვებმა, ვალდებულება იკისრეს—უფრო მონდომებით იმუშაონ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება ახლა მიმართულია საგაზაფხულო სამუშაოების ყოველმხრივ მომზადებისა და თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

გ. ტერტერაშვილი.

მეფრინველეობა მაღალშემოსავლიანი დარგია

სტავროპოლის მხარეში მიმდინარე წელს სტავროპოლის მხარეში აშენდება 75 მექანიზირებული საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმა. თვითეული ფერმა განკუთვნილია 20 ათასი ფრთა ქათმისათვის.



დიდი ხანი არ არის, რაც მწყობრში ჩადგა პიატიგორსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზირებული ფერმა. ამ კოლმეურნეობამ წელს მეფრინველეობიდან მიიღო მილიონნახევარი მანეთი შემოსავალი. ყოველ კვერცხისმდებელ ქათმიდან მიღებულია 158 კვერცხი—18 ცალით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ფერმის მუშაკები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკვები ბაზის შექმნაში. ფერმის ნაკვეთებიდან მათ მოიყვანეს 500 ცენტნერზე მეტი გოგრა, დაახლოებით ამდენივე ზადეს კონცენტრირებული საკვები, მათ შორის ბეწვეული სიმინდი. ფრინველის საკვებად, მარცვლეულის გარდა, იყენებენ ფქვილის ცომს, ადამიანის საკვებად უვარგისი ხორცს, თევზის ქონს, რძის ნარჩენებსა და სხვა საკვებ ნივთიერებებს.

ფერმაში გასამრავლებლად ტოვებენ მხოლოდ პროდუქტიულ დედლებს. დანარჩენებს იყენებენ საჭიროებისდა მიხედვით. მოწინავე მეფრინველეები რეგულარულად ეძლევიან დამატებითი ანაზღაურება.

მიმდინარე წელს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეებს გადაწყვეტილი აქვთ თვითეულ კვერცხისმდებელ დედლიდან მიიღონ 170 კვერცხი, ფერმიდან შემოსავალი კი უნდა 2,5 მილიონ მანეთამდე.

სურათზე: მოწინავე მეფრინველეები კოლმეურნე ქალი ნ. ხუციევა და ფერმის გამგე ვ. ლუხიანი ქათმების მექანიზირებულ გალიებთან.

მეფრინველეობის ფერმაში

ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში ამჟამად 450 ფრთა ქათამი ითვლება. ფერმაში წლების მანძილზე არ სრულდებოდა ფრინველის სულადობის გეგმა, დაბალი იყო პროდუქტიულობა. ხშირი იყო ქათმებისა და კვერცხების დანაკარგების შემთხვევები. ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ადგილი ჰქონდა წიწილების დიდი რაოდენობით დახოცვას.

ყველა ეს მდგომარეობა კოლმეურნეობის გამგეობამ დროულად გაითვალისწინა და ფერმა უნარიანი მუშაკებით დააკომპლექტა. მას შემდეგ, რაც ფერმას სათავეში ეთერი ჩორგოლიანი ჩაუდგა, მდგომარეობაც არსებითად გამოსწორდა. ე. ჩორგოლიანის, მოლელების ა. გოდერიძისა და მ. ბაბილაშვილის მონდომებული მუშაობის შედეგად ფერმა კარგად გამოიყურება. უკანასკნელ ორ თვეში ეზო მოყვანილია წესრიგში, დაცულია სისუფთავე, ქათმები უზრუნველყოფილია საკვები რაოდენობის საკვებით, წყლით და საჭირო ინვენტარით.

25 მარტისათვის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 წიწილისა, ინკუბატორებიდან გამოიყვანენ 2.500 წიწილას. საწიწილე ბინა მზადყოფნის მდგომარეობაში მას 3-ჯერ გაუკეთდა ფუმიგაცია კრეოლინის ხსნარით. კედლები შეთეთრებულია კირის ხსნარით, საწიწილე ბინაში დადგმულია ელექტრონიანი ლუმელი, წიწილებისათვის რუნველყოფილი იქნება ტომატური სარწყავებით.

მეფრინველეობის ფერმის ალმა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ფრინველის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები გადაჭარბებით შესრულონ.

ს. მაისურაძე.

მიღწეულით არ კმაყოფილდებიან

მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მწყემსებმა, რომლებიც გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალი ძალით გაიჩაღეს მუშაობა. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა დოლის პერიოდში.

დოლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის მათ ადრევე მოამზადეს 60 დოლფარა, წესრიგში მოიყვანეს სადგომი ბინა, დამატებით გამოყვეს საგოჭე და დამბმარე სათავსოები.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ დღეისათვის ფერმაში 49 დედაღორიდან მიღებული ნამატი მთლიანად ნარჩუნებულია.

ფერმის საუკეთესო წესრიგის შორის უნდა დავასახელო კ. ჭიჭიაშვილი.

კ. ჭიჭიაშვილს ფერმაში მუშაობის 18 წლის გამოცდილება აქვს, იგი თავის დარ გამოცდილებას აზიარებს თავის ამხანაგებს: ა. ბერუაშვილს, დ. სარჯასოვილს, სხვებს.

მოწინავე კომკავშირელი

მარო დურგლიშვილს სოფელ ჭისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში იცნობენ, როგორც შრომისმოყვარე მოწინავე ახალგაზრდას. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საკოლმეურნეო საქმიანობაში. გასულ წელს მის შრომის წიგნაკში 220 შრომადღე ჩაიწერა.

მოწინავე კომკავშირელმა გოგონამ შარშან სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის 200 კილოგრამი სიმინდი მიიღო პრემიის სახით. ამის გარდა მან სახელმწიფოს ჩააბარა 34 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

მ. დურგლიშვილმა, რომელმაც თავის ამხანაგებთან ერთად ახალი კომკავშირული ბრიგადა მიიღო, ვალდებულება იკისრა კიდევ უფრო მეტად გაახაროს დედასამშობლო ახალი წარმატებებით.

ძ. ძავაზაური.

გოსტნეულის თესვა დაიწყეს

ზემოხსენებული კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც თავისი საქმის ერთგული ხელმძღვანელობს, გაამეურნეო წელში ხახვის, სალორის, კიტრისა და ბოსტნეულის სხვა კულტურების სათბურებსა და ბაღჩებში გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს, რათა კიდევ უფრო გაზარდონ ბოსტნეულის უხვი მოსავალი.

მებოსტნეობის ბრიგადამ უკვე წესრიგში მოიყვანა სათბურები, სადაც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ დაიწყეს პამიდორის დათესვა.

უახლოეს დღეებში დაიწყებენ დახარჩენი კულტურების სათბურში თესვას.

დათესილია 3,5 ჰექტარი კარტოფილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეობის წევრები დიდი მონდომებით შეუდგნენ საკოლმეურნეო მიწდვრებში საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებას.

კოლმეურნეობა წელს, შარშანდელთან შედარებით, უკვე თესლად მოემზადა კარტოფილისა და სხვა ბოსტნეული კულტურების შემჭიდროებულ ვადებში თესვისათვის. საამისოდ მათ მთელი რიგი სამუშაოები ჩაატარეს. მზრალად მოხხული ნიადაგი ადრე გაზაფხულზე მეორედ გადახნეს, მოიმარაგეს სათესლე მასალა და შეუდგნენ თესვას. მათ კარტოფილი გეგმით 4 ჰექტარზე უნდა დათესონ, დღეისათვის დათესილია 3,5 ჰექტარზე. კარტოფილის თესვაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ი. ჯავახიშვილი, ხ. ფიცხელაური, ი. ქოსმენაშვილი, ე. გელდიაშვილი და სხვები.

ს. კოსტაშვილი.



სამარყანდის ოლქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „გალეთა-არალში“ ორგანიზებულად მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების თესვა. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება უმოკლეს ვადაში დაამთავროს თესვის სამუშაოთა გეგმის შესრულება.

სურათზე: ხორბლის ჯვარედინი თესვა საბჭოთა მეურნეობის ერთ ∻ განყოფილების მიწდვრებში. წინა რიგზე—მოწინავე ტრაქტორისტის ა. ვ. ბოლშაკოვის აგრეგატი. ეს აგრეგატი ერთ დღეში 95-100 ჰექტარ ფართობზე თესავს.

ფოტო ა. კუზმენკოსი.

(საკდესის ფოტოქრონიკა)

ლექცია

ამას წინათ რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა ახმეტის მტს-ის მთავარი აგრონომის თ. შაშიაშვილის ლექცია თემაზე „ვაზის ფორმირება“.

ლექციას ესწრებოდნენ ახმეტის მტს-ის ზონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სპეციალისტები, მევენახეობის ბრიგადირები, მერგოლურები, მოწინავე მევენახეები და მსხვილელები.

ვ. მოსიაშვილი.

ემზადებიან ოლიმპიადისათვის

დუისის საშუალო სკოლა

დუისის საშუალო სკოლის მოსწავლეები გაცხოველებით ემზადებიან თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული დათვალიერებისათვის. სკოლაში მუშაობენ სიმღერისა და ქორეოგრაფიული წრეები, რომლებშიც მოსწავლეები სწავლობენ ცეკვებსა და ახალ სიმღერებს.

ნ. ჯაბანიშვილი.

ზემო აღვნის საშუალო სკოლა

სკოლის დირექცია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებისათვის მზადების საქმეს.

თვეზე მეტია მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობს ე. იტოშვილი. გუნდმა კარგად შეისწავლა ახალი სიმღერები და ცეკვები „ვაშენებთ დიად კომუნიზმს“, „სამგორში“, „ფოთოხლის ბაღში“ და „ჩვენი ქვეყანა სიმდიდრის კერაა“ „სიმგა“, „ფარიკაობა“, „ცეკვა ქართული“ და სხვა.

ი. ლოლაშვილი.

არაშენდის რვაწლიანი სკოლა

მოსწავლეთა თვითმოქმედების რაიონულ დათვალიერებაზე არაშენდული მოსწავლეები გამოვლენ სიმღერებით, ცეკვებით და თავიანთი ნამუშევრებით. სკოლაში მუშაობენ სიმღერა-ცეკვის, ჰადრაკის, ▒▒ ფოტომოყვარულთა, და ნორჩ მიჩურინელთა წრეები.

კარგად მუშაობს სიმღერა-ცეკვის წრე, რომელსაც უფროსი პიონერხელმძღვანელი ჯ. უშიკიშვილი ხელმძღვანელობს.

წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები ხშირად ეწყობიან ხოლმე ოთხოსნებია.

მ. ხარატიშვილი,
არაშენდის 8 წლიანი სკოლის დირექტორი.

მოწინავე უფროსი პიონერ ხელმძღვანელი

პიონერული მუშაობით ბავშვობიდან გატაცებულ ვენერა ქიტიაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კომკავშირის ახმეტის რაიკომს ხშირად უფროს პიონერხელმძღვანელად გაეშვათ.

—მერე და იცით პიონერული მუშაობა? მკითხა რაიკომის მდივანმა.

—საფუძვლიანად ვერ ვერკვევი, მაგრამ პიონერებთან მუშაობა ჩემი ოცნებაა. პირობას გაძლევთ გაწეულ ნდობას საქმით გავამართლებ, მიუგო ქიტიაშვილმა.

კარგი, მხოლოდ ერთი პირობით, ჯერ გასწავლით პიონერულ მუშაობას და მერე საქმით გაგვიმართლე.

რაიკომის მდივანმა განცხადებას რეზოლუცია წაუწერა და სასკოლო განყოფილების გამგეს გადასცა.

1953 წლის ოქტომბრიდან ვენერა უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკურ სკოლაში მხურვალედ დაეწაფა პიონერული მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, ცოდნის გაღრმავებას.

პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლიდან დაბრუნებულმა ქიტიაშვილმა ქვემო ალვნის საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა.

ჩვენ ალვნის საშუალო სკოლაში ვართ. პიონერთა ოთახის კარებზე ლამაზი ასოებით აწერია. „პიონერთა ოთახი“. შეაღებთ კარებს და თვალში მოგხვდებათ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. აქვეა რაზმეულის კედლის გაზეთები „ნათელი გზისაკენ“, „ცოდნის წყარო“, „ნორჩი თაობა“ და სხვა. მოფოკრებულად გაფორმებული ალბომები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ ჩვენზე. ფართოდ არის წარმოდგენილი აქ ბავშვთა შემოქმედება. აი, მაგალითად, გემის მაკეტი, რომელიც შესრულებულია VI კლასის პიონერ „ზეზვა გაფრინდაულის მიერ.

ერთი კუთხე ხელგამრჯეთა წრის წევრების შემოქმედებას უჭირავს.

პიონერთა ოთახის შუა ადგილას გრძელ მაგიდაზე პიონერები ჭადრაკს თამაშობენ. აქეთ მომღერალთა თვითმოქმედი წრე ასრულებს სიმღერებს...

პიონერული მუშაობა ვენერამ მიმზიდველი გახადა, ამიტომ პიონერებს აინტერესებთ ყოველი რაზმეულის შეკრება.

ქიტიაშვილი დაინტერესებულია პიონერთა აკადემიური წარმატებითაც.

პირველ მეოთხედში გამოცხადებულ ნიშნებმა ქიტიაშვილი ცუდ ხასათზე დააყენა. პიონერებს ვ. ლაზიძეს 5 ორიანი გამოუყვა, გ. იქირაულს 6 ორიანი და უ. ბექურაიძეს 4 ორიანი.

ვენერამ მათ კლასის ხელმძღვანელს — კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ელენე მურთაზაშვილს მაგრად ჩასჯიდა ხელი და უთხრა:

—მომყევით, მათი მშობლები ერთად ვინახულოთ, სხვა ხერხიც ვცადოთ, იქნებ გამოსწორდნენ,

კლასის დამრიგებელი გაჟვა.

ჩამორჩენილ პიონერებზე კედლის გაზეთიც ალაპარაკდა და რაზმეულის საბჭოს სხდომამაც განიხილა.

ეხეც არ კმარა, იფიქრა მან, ჩამორჩენილნი მოწინავე პიონერებთან დაახლოვა, ასწავლა მეთოდი თუ რა გზით შეიძლებოდა სიზარმაცის დაგმობა.

შრომამ შედეგი გამოიღო, ლაზიძე, იქირაული და ბექურაიძე, მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით შეხვდნენ მეორე მეოთხედს.

დღითიდღე იზრდება პიონერთა რიცხვი. ამ სკოლაში 276-დან ახლად მიღებულია 41 პიონერი.

სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე რაზმეულის საბჭოს რეკომენდაციით კომკავშირში მიღებულია 16 მოწინავე პიონერი.

ქიტიაშვილმა კარგად იცის, რომ მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის აუცილებელია პიონერებში შრომისადმი სიყვარულის დანერგვა. იგი დირექციას ყოველთვის ეხმარება პოლიტექნიკური სწავლების დანერგვაში, კონტროლს უწევს სასკოლო ნაკვეთზე ნორჩების საქმიანობას. იგი პიონერებს საკოლმეურნეო შრომისადმი სიყვარულსაც უნერგავს, ამიტომაც იყო, რომ ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობამ გაიხსენა ვენერას და პიონერების კარგი საქმე. მათ გასულ წელს ხომ 0,5 ჰექტარი ხიმინდის ნათესი ფართობი დაუმუშავეს და ნაცვლად 11,5 ცენტნერისა კოლმეურნეობას 19 ცენტნერი ხიმინდი ჩააბარეს. ამიტომაც გამგეობამ პიონერებს საახალწლოდ ნაძვის ხის მოსაწყობად საჩუქრად 600 მანეთი გაუგზავნა.

უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკანურ სკოლაში მიღებული ცოდნა დიდად დაეხმარა ქიტიაშვილს მუშაობაში. ახალა იგი რაიონის ერთერთი საუკეთესო პიონერხელმძღვანელია.

ქ. ლიზანიშვილი.

აგიტატორთა დასახმარებლად

პარტიის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის

25 თებერვალს დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ყრილობის მთელი მუშაობა, აგრეთვე მისი გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია პარტიის დიდი ზრუნვით სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბალანსო მეურნეობის გაფართოების საფუძველზე წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი ხმარდება მშრომელთა პირადი მოხმარების დაკმაყოფილებას. მხოლოდ მეხუთე ხუთწლედის წლებში იგი გადიდდა 68 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა გეგმებით გათვალისწინებულია, რომ კეთილდღეობის დონე სოფლად სულ უფრო უახლოვდებოდეს ქალაქში ცხოვრების დონეს. მეხუთე ხუთწლედში კოლმეურნეთა შემოსავალი გადიდდება 50 პროცენტით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი—39 პროცენტით.

მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებულია კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის შემდგომი გადიდება საშუალოდ სულ ცოტა 40 პროცენტით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა—საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით. პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ფართო ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებს უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის 7 საათის სამუშაო დღის, ჭანაბშირისა და სამთამადნო მრეწველობის წამყვანი პროფესიების იმ მუშაებისათვის, რომლებიც მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებენ, აგრეთვე მოზარდებისათვის 6 საათის სამუშაო დღის შემოღება ხელფასის შეუმცირებლად, უახლოეს დროში სამუშაო დღის ორი საათით შემცირება შაბათობით და უქმების წინა დღეებში. ხელფასი გაუდიდდებათ მუშებისა და მოსამსახურეების იმ ჯგუფებს, რომელთაც დაბალი ხელფასი აქვთ.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. გასულ წელს მარტო რუსეთის ფედერაციაში დამატებით გაიხსნა 868 საშუალო სკოლა, ბევრი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, სანატორიუმი, აგრეთვე საბავშვო და კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულება. რუსეთის სფსრ ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 20 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო სოფელ ადგილებში—330 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

მეექვსე ხუთწლეული გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფოს სახსრებით აშენდეს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა 1955 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 28 პროცენტით, ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაგებში—44 პროცენტით, საბავშვო ბაღებში—45 პროცენტით. უდიდესი მასშტაბით გაფართოვდება კინოფიკაცია და ტელევიზია.

დასახულია ამოცანა—ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილებში. იმ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ, გათვალისწინებულია გაფართოვდეს დაუსწრებელი და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი. ამ სკოლებში მშრომელთ შეუძლიათ ისწავლონ წარმოებას მოუწყვეტლივ. უკვე მომავალი სასწავლო წლიდან გაუქმდება სწავლის ქირა საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. მეექვსე ხუთწლედის გეგმის წარმატებით განხორციელება შესაძლებელს გახდის ხუთწლედში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი გადიდდეს დაახლოებით 60 პროცენტით. ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვის ზრდას დაახლოებით 50 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული დაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მუშები, სოფლის მშრომელები და ჩვენი ინტელიგენცია სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას 1956 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის.

ხ. ოკოკლოვი.